სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

71985828036923

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230915481

რეგისტრაციის თარიღი

10.07.2023 წ

ნოტარიუსი: შორენა ხარაიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #116
ტელეფონი: 2-95-90-32

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის ათ ივლისს მე, საქართველოს ნოტარიუსს შორენა ხარაიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №116, მომმართა **ლევან წულაძემ** (დაბ. 18.03.1965წ; თბილისში. რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, რევაზ გაბრიაძის I შესახვევი, N 2, პირადი №01005000437). მან განაცხადა, რომ არის **შ.პ.ს. „თეატრი სტუდია 42"-ის** (რეგისტირებული 19.08.2022წ. ს/კ 405555787, იურიდიული მისამართია თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №50, ბინა 67) დირექტორი და მასზე კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სურს გასცეს მინდობილობა, რომლითაც სპეციალურ უფლებამოსილებას მიანიჭებს **ეკატერინე მაზმიშვილს** (დაბ. 22.02.1968წ. თბილისში. რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 50, ბინა 67, პირადი №01008006563). მე დავადგინე **ლევან წულაძის** პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №B22102850, მომზადების თარიღი 19/08/2022წ. 14:12:54). მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც **ლევან წულაძეს** წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **ლევან წულაძემ** ჩემი თანდასწრებით წაიკითხა და განაცხადა, რომ იგი სრულიად გამოხატავს მის ნებას და შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვადასტურებ ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მინდობილობა

მე, ლევან წულაძე (დაბ. 18.03.1965წ; თბილისში. რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, რევაზ გაბრიაძის I შესახვევი, N 2, პირადი №01005000437), როგორც **შ.პ.ს. „თეატრი სტუდია 42"-ის** (რეგისტირებული 19.08.2022წ. ს/კ 405555787, იურიდიული მისამართია თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №50, ბინა 67) დირექტორი, ამ მინდობილობით სპეციალურ უფლებამოსილებას ვანიჭებ **ეკატერინე მაზმიშვილს** (დაბ. 22.02.1968წ. თბილისში. რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 50, ბინა 67, პირადი №01008006563), რომ იყოს შპს "თეატრი სტუდია 42" -ის (ს/ნ 405555787) წარმომადგენელი სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ქალაქ თბილისის მერიაში, საგადასახადო ორგანოებში, სსიპ იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოში, იუსტიციის სახლს დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებაში, საჯარო და სამეწარმეო რეესტრში, საქართველოს ყველა ინსტანციას სასამართლოში, სანოტარო ბიუროში, არქივში, სამინისტროებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში, აწარმოოს ყველა სახის საგადასახადო და საბაჟო პროცედურები, უზრუნველყოს საზოგადოების სახელზე შემოსული ტვირთის (ნივთების) განბაჟება და ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე, განაბაჟოს ტვირთი (ნივთები), წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის განცხადებები, მოწმობები ზემოთ ხსენებული სამსახურებიდან, მიიღოს ნებართვები, ამონაწერი, მოწმობა, ასლი, განაცხადოს/გასცეს თანხმობები, ხელი მოაწეროს კონტრაქტებს, ხელშეკრულებებს, საჭირო დოკუმენტებს, მიღება ჩაბარების აქტებს, გადაიხადოს ყველა აუცილებელი საზღაური, მოსაკრებელი და ფულადი თანხა. ისარგებლოს ყველა იმ უფლებამოსილებით რომელიც წესდებისა და კანონმდებლობის თანახმად აქვს კომპანიის დირექტორს მინიჭებული, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

მინდობილობა გაცემულია **და ძალაშია 2024 წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.**

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს შორენა ხარაიშვილთან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იმ ეგზემპლარს რომელიც ინახება ნოტარიუსთან თან ერთვის: 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №№B22102850, მომზადების თარიღი 19/08/2022წ. 14:12:54, ამობეჭდილი საჯარო რეესტრის ვებ-გვერდიდან. 2. **შ.პ.ს. „თეატრი სტუდია 42"-ის** სადამფუძნებლო შეთანხმება, დამოწმებული საჯარო რეესტრის მიერ 18.08.2022წ, ამობეჭდილი საჯარო რეესტრის ვებ-გვერდიდან.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 30 ლარი და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, სულ გადახდილია 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, (29.12.2011წ.) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა და + 39-ე მუხლის თანახმად.

შ.პ.ს. „თეატრი სტუდია 42"-ის დირექტორი

ლევან წულაძე _____

ნოტარიუსი შორენა ხარაიშვილი

საქართველო GEORGIA NOTARY SHORENA KHARAISHVILI 25001002891